2025 წლის
ანგარიში

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ზურაბ აბაშიძის ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ზურაბ აბაშიძის

2025 წლის ანგარიში

ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან ვარ ამავე მოწვევის საკრებულოს მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, შემდგომში - საკრებულოს თავმჯდომარე; ასევე ვარ ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრი, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი; ვასრულებ კანონმდებლობით მონიჭებულ უფლება-მოვალეობებს, აქტიურად ვესწრები დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გამართულ სხდომებს და სამუშაო შეხვედრებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა:

- საკრებულოს სხდომა -**16**
- ბიუროს სხდომა- **20**

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა **103 დადგენილება** და **742 განკარგულება;**

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოში, 2024 -2025 წწ ჩატარდა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 20 სხდომა, განხილული იქნა 435 საკითხი. ჩატარებული სხდომებიდან დავესწარი 19 სხდომას.

- ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურწეობის კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 16 სხდომა .

კომისიის სხდომებზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 342 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 219 ცვლილება (დადებითი 218, გადაიდო 1).

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 184 (181 დადებითი, 3 გადადებული)

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით დამტკიცებულ იქნა - 71 პროექტი (69 დადებითი, 2 გადადებული)

დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 25 პროექტი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებების 7 პროექტი.

ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 39 დადგენილების სხვადასხვა პროექტი.

კომისიის სამდივნოში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მოქალაქეთა და ორგანიზაცია-დაწესებულების განცხადება-წერილებზე მუშაობას (არქიტექტურული/ ურბანული საკითხები, შიდა კვარტალური გზების, ეზოების, სკვერების, ბავშთა სპორტული მოედნების

მოწყობის, ქალაქის სანიტარული დასუფთავების, მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, მოქალაქეთა საბინაო, სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესების საკითხებზე). საანგარიშო პერიოდში კომისიის სამდივნოში სულ შემოსული/განხილულია 76 წერილი/ განცხადება.

ინფორმაცია ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ

როგორც მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოფითი პირობების, საჭიროებების, ინიციატივების გაცნობისა და დედაქალაქისთვის პრიორიტეტულ თემებზე რეაგირების მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღების საკითხს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შევხვდი და მოვუსმინე **330** მოქალაქეს, რომელთაც მომმართეს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის სოციალური, საბინაო, ყოფითი პირობების გაუმჯობესების თაობაზე, აგრეთვე ჯანდაცვის, დასაქმების, ინფრასტრუქტურულ და სხვ. თემებზე.

საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია კორესპონდენცია და დოკუმენტბრუნვა როგორც შიდა სტრუქტურულ თემებზე, ასევე სხვა უწყებებიდან შემოსულ საკითხებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე. კანონით განსაზღვრულ ვადებში აღნიშნულ განცხადებებზე შემდგომი რეაგირებისთვის მომზადდა შესაბამისი შუამდგომლობები და რეკომენდაციები. სოციალურ საკითხებზე დახმარება გაეწია **95** მოქალაქეს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო **45** მოქალაქემ, ხოლო ინფრასტრუქტურული პრობლემების კუთხით პრობლემა მოუგვარდა **63** მოქალაქეს.

- **ინფორმაცია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ**

კოორდინაცია მაქვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, გამგეობებთან, სამინისტროებთან მათი საქმიანობის სფეროს საკითხებით დაინტერესებული მოქალაქეებისთვის კონსულტაციის გაწევის და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების მიზნით. აქტიურად ვთანამშრომლობ მთაწმინდის რაიონის გამგეობასთან რაიონში არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

თბილისის მერიაში გაიგზავნა 40 შუამდგომლობა სხვადასხვა საკითხზე. მიზნობრივი ფინანსური დახმარება გაეწია 63 ადამიანს, ხოლო 93 ადამიანს დაუფინანსდა მედიკამენტების თანხა.

- **საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები**

- **მიმდინარე წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით სხვადასხვა სახის სამუშაო განხორციელდა შემდეგ მისამართებზე:**

- **ასფალტის საფარის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები**

1	წავკისი, ვახტანგ გორგასლის მე-7 ჩიხი - გზის მოასფალტება
2	წავკისი, დიდგორის ქ. N2-დან N8-ის ჩათვლით - მოასფალტება
3	წავკისი, ტიციან ტაბიძის ქუჩის საავტომობილო გზის მოწყობა
4	წავკისი, ლადო ასათიანის ქუჩის საავტომობილო გზის მოწყობა
5	წავკისი, ლადო ასათიანის II ჩიხის საავტომობილო გზის მოწყობა
6	წავკისი, კოტე მარჯანიშვილის ქუჩის საავტომობილო გზის მოწყობა
7	წავკისი, ლადო ასათიანის I ჩიხის საავტომობილო გზის მოწყობა
8	წავკისი, მიხეილ თუმანიშვილის ქუჩის საავტომობილო გზის მოწყობა
9	წავკისი, ეროსი მანჯგალაძის ქუჩის საავტომობილო გზის მოწყობა
10	წავკისი, 9 აპრილის ქუჩის საავტომობილო გზის მოწყობა
11	წავკისი, ამაღლების II შესახვევის საავტომობილო გზის მოწყობა
12	წავკისი, სესილია თაყაიშვილის ქუჩის საავტომობილო გზის მოწყობა
13	წავკისი, ამაღლების ქ. N8-სა და N8ბ-ს შორის არსებული ჩიხის მოასფალტება

- **ასფალტის საფარის ორმოული შეკეთების სამუშაოები**

1	მარი ბროსეს ქ. N 10-ის მიმდებარედ
2	შევჩენკოს ქ. N16 - ეზო
3	კოტეტიშვილის ქ. N5
4	ჟვანიას ქ. N21-ის მიმდებარედ
5	არსენას ქ. N2
6	პაოლო იაშვილის ქ. N7 და N15
7	გიორგი შენგელიას ქ. N 9/11-ის მიმდებარედ (51-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ)
8	კირილე უკლებას ქ. N6 - ეზო
9	ტაბახმელა, თამარ მეფის ქ. N 27-დან N 29ა-მდე
10	ტაბახმელა, დიდგორის ქ. N28-ის მიმდებარედ
11	ნინო ჟვანიას ქ. N73-ის მიმდებარედ ასფალტის საფარის მოწყობა
12	ტაბახმელა, ლაშა-გიორგის ქ. N6, N8
13	ტაბახმელა, ლაშა-გიორგის ქ. N20
14	ტაბახმელა, გუმბათების წყაროს ქ. N30
15	ტაბახმელა, ივანე მაჩაბლის ქ. N11
16	ტაბახმელა, ივანე მაჩაბლის ქ. N7
17	ოქროყანა, პარკის ქ. N10-დან მირზა გელოვანის ქ. N15-ის ჩათვლით - ასფალტის საფარის მოწყობა
18	ლარსის ქ. N1-ის ეზო
19	ვასილ ბარნოვის ქ. N60-ის ეზო
20	ვახუშტი კოტეტიშვილის ქ. N15-ის ეზო
21	ლადო ასათიანის ქ. N35-ის ეზო
22	რევაზ თაბუკაშვილის ქ.
23	შალვა ღამბაშიძის ქ.
24	გურამ რჩეულიშვილის ქ.
25	ერისთავ-ხოშტარიას ქ. N 28 - ეზო
26	ერისთავ-ხოშტარიას ქ.
27	ვახტანგ მოსიძის ქ.
28	არსენას ქ.
29	ბესიკის ქ.
30	ტარას შევჩენკოს ქ
31	შიო ჩიტაძის ქ.
32	ვუკოლ ბერიძის ქ.
33	ძმები ზუბალაშვილების ქ.
34	ნიკო ნიკოლაძის ქ.
35	მიხეილ ზანდუკელის ქ. N38 - ეზო
36	ვანო სარაჯიშვილის ქ. N4 - ეზო
37	რევაზ ჯაფარიძის ქ.
38	კოტე მესხის ქ. N27

- **ქვაფენილის შეკეთების სამუშაოები**

1	ბესიკის ქ. N27-ის მიმდებარედ
2	შიო ჩიტაძის ქ. N 10-ის მიმდებარედ
3	ნიკოლოზ შენგელიას ქ. N 13-სა და N 15-ს შორის
4	ვეძინის ქუჩის მე-4 გასასვლელი
5	ოქროყანა, ილია ჭავჭავაძის ქ. N-4-ისა და N-6-ის მიმდებარედ
6	გიორგი ლეონიძის ქ. N14-ის მიმდებარედ
7	ალექსანდრე ჭავჭავაძის ქ.
8	მთაწმინდის ქუჩა
9	მიტროფანე ლაღიძის ქუჩა
10	გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა
11	სოლომონ ზალდასტანიშვილის ქ. N8 - 10-ის მიმდებარედ
12	ალექსანდრე ჭავჭავაძის ქ. N19 - 21-ის მიმდებარედ
13	პოლიკარპე კაკაბაძის ქ. (წმ. მიხეილ ტვერელის ტაძრის მოპირდაპირედ)
14	მთაწმინდის ქ. N4/1-ის მიმდებარედ
15	მთაწმინდის ქ. N6 - 8-ის მიმდებარედ
16	ბესიკის ქუჩა N 4
17	სოლომონ ზალდასტანიშვილის ქ. N7-18

- **დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის, შენობების გამაგრების, ავარიული ელემენტების შეკეთების, ტერიტორიის შემოღობვის, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის გატანის სამუშაოები**

1	ლეო ქიაჩელის ქუჩა N 4-ის მოპირდაპირე მხარეს
2	ვასილ ბარნოვის ქ. N52-ის მიმდებარედ
4	მთაწმინდის შესახვევი N4-ის მიმდებარედ
6	პაოლო იაშვილის ქუჩა N15-ის მიმდებარედ
7	კოტე მაყაშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ
8	დანიელ ჭონქაძის ქ. N12
9	შოთა მილორავას ქუჩა N6
10	კოჯორი, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა N9-ის მიმდებარედ
11	კოჯრის გზატკეცილი N4-ის მიმდებარედ
12	ტელეგრაფის ჩიხი N3
13	ტაბახმელა, თამარ მეფის ქუჩა N3
14	კოჯრის ქუჩა N2
15	ათონელის ჩიხი N3 / გოგჩის ქუჩა N7
16	ლადო ალექსი-მესხიშვილის ქუჩა N6

- **წყალსადენ-კანალიზაციის და სანიაღვრე/სადრენაჟე ქსელების მოწყობის, აღდგენა-შეკეთება-რეაბილიტაციის და საკანალიზაციო მილების გაწმენდის სამუშაოები**

1	ტაბახმელა, დიდგორის ქუჩა (თამარ მეფის ქუჩიდან დიდგორის III ჩიხამდე)
2	ტაბახმელა, თამარ მეფის ქუჩაზე N 27-დან N29ა-მდე
3	გიორგი ახვლედიანის ქ. N13
4	გოგებაშვილის ქ. N19
5	ტაბახმელა, კორპუსი N1-ისა და N2-ის მიმდებარედ
6	ტაბახმელა, გუმბათების წყაროს I შესახვევი, N12-ის მიმდებარედ
7	ტაბახმელა, კორპუსი N13-ის მიმდებარედ
8	თამარ აბაკელიას ქუჩა N13-ის მიმდებარედ
9	ტაბახმელა, კორპუსი N1-ისა და N2-ის მიმდებარედ
10	ვანო სარაჯიშვილის ქუჩა N4-ის მიმდებარედ
11	ვასილ ბარნოვის ქუჩა N68/ლარსის ქუჩა N1-ის მიმდებარედ
12	კოჯორი, გიორგი კვინიტაძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ
13	თბილისი-კოჯრის გზატკეცილი N40-ის მიმდებარედ

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები 117 მისამართზე, მათ შორის:**

- წყალ-კანალიზაცია - **19 მისამართი**
- ლიფტი - **11 მისამართი**
- სახურავი - **29 მისამართი**
- კიბე - **10 მისამართი**
- კარი - **11 მისამართი**
- სადარბაზოს რემონტი - **8 მისამართი**
- წყალსაწრეტი მილი - **21 მისამართი**
- თაღი - **2 მისამართი**
- აივანი - **5 მისამართი**
- გამაგრება - **2 მისამართი**

- **სკვერები, პარკები და სპორტული მოედნები სამაჟორიტარო ტერიტორიაზე**

1	ლადო ალექსი-მესხიშვილის ქ. N3-ში (ჯამბულის ქ. N5) არსებული სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები
2	ნინო ჟვანიას ქ.N28-ის - მიმდებარედ არსებული სკვერი
3	ტარას შევჩენკოს ქ. N5-ის მიმდებარედ
4	9 აპრილის ქუჩა - უორდროპების სახელობის სკვერი
5	მთაწმინდის ქუჩა - სულხან-საბას სახელობის სკვერი
6	ვასილ პეტრიაშვილის ქუჩა N7, 21-ე სკოლის უკან არსებული სკვერი
7	დანიელ ჭონქაძის ქუჩა - ვილნიუსის სახელობის სკვერი
8	ოქროყანის ქ. N14-ის - მიმდებარედ არსებული სკვერი
9	ოქროყანა, მირზა გელოვანის ქუჩაზე არსებული სკვერი
10	ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩზე არსებული სკვერი
11	კოჯორი, გიორგი კვინიტაძის ქუჩაზე არსებული სკვერი
12	ნათია ბაშალეიშვილის ქ. II ჩიხის მიმდებარედ (ს/კოდი: 01.15.02.062.028)
13	გურამ რჩეულიშვილის ქ. II შესახვევი (ს/კოდი: 01.15.02.060.021)
14	გურამ რჩეულიშვილის ქ. III შესახვევი (ს/კოდი: 01.15.02.060.063)
15	რევაზ ჯაფარიძის ქ. N13 კორპუსის მიმდებარედ (ს/კოდი: 01.15.02.055.253)
16	ვასილ პეტრიაშვილის ქ. N7-ის მიმდებარედ (ს/კოდი: 01.15.02.002.026)
17	სოფიკო ჭიაურელის ქ. N13 კორპუსის მიმდებარედ (ს/კოდი: 01.15.03.008.005)
18	ფარნაოზ ლაპიაშვილის ქ. I ჩიხის მიმდებარედ (ს/კოდი: 01.15.03.012.013)
19	გიორგი ათონელის ქ. N5-ის მიმდებარედ (ს/კოდი: 01.18.03.009.015)
20	ვასილ ბარნოვის ქ. N69
21	რევაზ თაბუკაშვილის ქ. N27 (ს/კოდი: 01.15.04.010.001) კალათბურთის ფარის ცალი კალათის შეცვლა
22	ოქროყანა, ექვთიმე თაყაიშვილის ქ. (ს/კოდი: 01.15.07.006.133)
23	ოქროყანა, „ბ“ ზონა (ს/კოდი: 01.15.07.017.119)
24	ოქროყანა, „გ“ ზონა, მირზა გელოვანის ქ. N6ბ (ს/კოდი:01.15.08.001.169)
25	სოფიკო ჭიაურელის ქ. მიმდებარედ (ს/კოდი: 01.15.03.008.005) კალათბურთის ერთი ცალი ფარის შეცვლა

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები

ქალაქის ინფრასტრუქტურის განახლება, აღდგენა, ახალი დასასვენებელი და სპორტული სივრცეების მოწყობა დაგეგმილ პროექტებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

ბოლო პერიოდში თბილისის მერიასთან ერთად ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე დავნერგეთ ურბანული და სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებებით.

მოხდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება, ტაქსების რეფორმა, ამოქმედდა საათობრივი პარკირება. დედაქალაქში შეიქმნა ბევრი ახალი სარეკრეაციო სივრცე. მთაწმინდის რაიონს კიდევ ერთი განახლებული სკოლა შეემატა.

2025 წელს თბილისში განხორციელდა და ასევე დაიწყო მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები.









წარმომადგენლობითი ფუნქცია და საგარეო ურთიერთობები

თვითმმართველობის ევროპული სტანდარტებით შემდგომი განვითარების მიზნით ქ. თბილისის საკრებულოს დელეგაცია მუდმივად თანამშრომლობს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესთან.

25 თებერვალი, 2025

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესში თბილისის საკრებულოს დელეგაციის მუშაობის ფარგლებში, მონაწილეობა მივიღე სტრასბურგში გამართული კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომაში.

25-27 მარტი, 2025

ზურაბ აბაშიძემ სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 48-ე პლენარულ სესიაში მიიღო მონაწილეობა.

5 ივნისი, 2025

საკრებულოს თავმჯდომარის რანგში მონაწილეობა მივიღე თბილისის მდგრადი განვითარების რეგიონულ ფორუმში სახელწოდებით „მშვიდობის როლი მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“.

3

ივლისი, 2025

შეხვედრა გავმართე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიჩუანის პროვინციის დელეგაციასთან. შეხვედრას ქვეყნის დელეგაციასთან ერთად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჭოუ ციენი ესწრებოდა. ვიზიტს წინ უსწრებდა თბილისსა და სიჩუანის პროვინციას შორის დაძმობილების ხელშეკრულების ხელმოწერა დისტანციურად. შეხვედრის დასასრულს აღნიშნული მემორანდუმის ოფიციალურად გაცვლის ცერემონია გაიმართა.

მემორანდუმის ფარგლებში, საფუძველი ჩაეყრება სიჩუანის პროვინციასთან ურთიერთობის გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის კულტურის, სავაჭრო კავშირების, განათლების, ურბანული დაგეგმარების, ტრანსპორტის და სხვ.

სექტემბერი, 2025

საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძესთან ერთად შევხვდი საქართველოში ვიზიტით მყოფ სომხეთის დედაქალაქის, ერევნის, მერს, ტიგრან ავინიანს და მერის მოადგილეს, ლევონ ჰოვანესიანს,. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის ელჩი აშოტ სმბატიანი.

შეხვედრაზე ერევნის მერს ინფორმაცია მივაწოდე დედაქალაქში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე, ასევე საკრებულოს საქმიანობის თაობაზე. საუბარი შეეხო აგრეთვე ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვასა და გამოითქვა მომავალი თანამშრომლობის იმედი.